

თეთრი ბიორბი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII

რედაქტორი მ. წერეთელი.

Paris

Jun 1931

No 41

პარიზი
ივნისი 1931 წელი
N° 41



თ. გ.-ის რედაქცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ გარდაიცვალენ:

საქართველოში გიორგი ლახსიშვილი, ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

ბრიუსელში (ბელგია) პავლე (პალიკო) ჟივიანი, დიდი ხნის ემიგრანტი, ცნობილი პატრიოტი

იქსელში (ბელგია) რაზიელ გოკიელი, ჩვენ ემიგრაციაში ცნობილი ქველ-მოძქმელი.

საფრანგეთში (არასში) ივანე ზაზუნაშვილი, თ. გ.-ის ორგანიზაციის თავ-დადებული წევრი.

ორიოდე სიტყვა ქაშუტას შესახებ.

ხშირად მსურვებია გავუზიარო მკითხველს ჩემი გულის-ნადები და ფიქრი ქაქუტას შესახებ. მაგრამ ყოველთვის ჩემი უძლურება დამინახავს ხოლმე. ამიტომაც მის შესახებ იშვიათად თუ რამე დამიწერია.

რა დაწვერო, როცა ის, რაც ავგაროზად მაწევს გულზედ, ჩემ მწერლობით უნარს აღმატებუ ვერ ერევა ჩემი კალამი და მჭირმეტყველება ყოველივე იმას, რასაც განვიცდი, როდესაც ვეიჭრობ ხოლმე იმ გარემოებაზედ, რომელშიც მოუხდა ბრძოლა და სიკვდილი ჩვენ სახელოვან გმირსა?

ქაქუტას ბრძოლა ისე განუყოფლად დაკავშირებული საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან, რომ, ვისაცასურს შეაფასოს პირველი, უნდა სავესებით სისწორით აღნიშნოს მეორე.

ხოლო მაღალ-ნიჭიერი უნდა იყოს მწერალი და საჭიროა ვრცელი თხზულება დასწეროს, რათა შესძლოს გადმოცემა საქართველოს ხვედრის მთელი სიმწარისა, მისი ბედის მთელი უკუღმართობისა; რათა შესძლოს დახატვა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ვითარებისა მთელი მისი შავი ფერადებით; რათა შესძლოს შეფასება ქაქუტას და მისი შეფიცულთა ბრძოლის მთელი სიდიადისა, მთელი ეროვნული მნიშვნელობისა.

დიან, ძნელთა-ძნელია აღწერა ჩვენი ქვეყნის ახლანდელი ტრაგედიისა და იმ საშინელი პირობებისა, რომელთა რკალში მოუხდა მოქმედება და ბრძოლა ქაქუტას თავისი მედგარი რაზმითა.

ძნელია მეთქი შეფასება ქაქუტას და შეფიცულთა ბრძოლისა, რათგან მისი მნიშვნელობა მხოლოდ დღეისით არ განიზომება, მხოლოდ აწმყოთი არ განისაზღვრება, არამედ მას მომავლის მნიშვნელობაცა აქვს. მათი ბრძოლის მნიშვნელობა სწვდება მომავალ საუკუნეთა დაუსრულებელ რიგსა; მათ მიერ გატყორცნილი შურდული მიჭქრის უთვალავ ჟამთა სივრცეში; მათ საქმეთა მარადისობა მოიხვეჭეს, ქართლოსის ძეთა საუკუნო მაგალითად და სასიქადლოდ იქცენ.

ქაქუტა მხოლოდ ხორციელად მოკვდა და არა სულიერად, რათგან საქმენი მისნი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზედ უკვდავების ასოებით აღიბეჭდნენ.

ორასი წლის წინედ სადღამ შორეულ ყანდაარში, ქართული ნამუსისა და სახელისათვის, უბადლო სიძამაგით მოკვდა ბრძოლის ველზედ ქაქუტას სენხია— ქაიხოსრო მეფე, და ამ სახელოვან მეფის თავგანწირულება ქართველი ერის სამარადისო განძად იქცა: თაობითგან თაობას სამაგალითო და სამაყო მხედრულ ტრადიციად გადაეცემა იგი. მეფე ქაიხოსროს სიგმიერე ეროვნული განძია, ეროვნული სიმდიდრე.

აგრეთვე ძვირფას საუნჯედ მივბარა ეროვნულ საჭურჭლეს ქაქუტას თავგანწირულება.

ღარიბნი ვართ ქართველნი ნივთიერად, მაგრამ სულიერად უმდიდრესნი ყველა ერთა შორის. უთვალავნი არიან, ვით ზღა-

პრული სოცდაგრის თვალ-მარგალიტნი, სახელოვან წინაპართაგან ჩველადმი ნაანდერძევი საქმენი საგმირონი და მაგალითნი სამშობლოსათვის თავდადებისა. ამ უაღრესი და წარუტაცელი სიმდიდრით უდგია სული საქართველოს, მით გაუჟაფავს და გადულახავს მას ისტორიის ის საშინელი ქარიშხლები, რომლებშიც არა ერთი ერი ჩალუპულა.

ამ სიმდიდრეზედ უნდა დავამყაროთ იმედი უკეთესი მომავლისა. ხოლო უნდა ვიცოდეთ მისი ფასი და გამოყენება.

ბევრი რამ არის საგულისხმო და ღირს-შესანიშნავი ქაქუტას ღვაწლში და მრავალ დასკვნათა გამოყენაცაა შესაძლებელი. მაგრამ აქ მე მინდა მკითხველის ყურადღება მხოლოდ შემდეგ მოვლენას მივაქციო.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც სოც. დემოკრატები საქართველოში მუშაობენ. მართლაც რომ აუარებელი ენერჯია და შრომა მოახმარეს მათ თავის პარტიულ საქმეს. იმ დროს, ბევრ მიზეზთა გამო, ჩვენი ქვეყანა ისეთი მდგომარეობით იყო მოცული, რომ პოლიტიკური ასპარეზი პირველი 20 წლის განმავლობაში განსაკუთრებით სოც.-დემოკრატებს დარჩათ, რათგან სხვა პოლიტიკური პარტიები არ არსებობდნენ. უმეტესოდ გამარჯვება ადვილი საქმეა და ამიტომაც სოციალ-დემოკრატებმა შესძლეს ძლიერი პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ქართული საზოგადოების ყველა ფენებში ფეხი მოიკიდეს. ერთი სიტყვით ნახეს უსაღლო სოცეფი და დაეპატრონენ.

სანამ ჩვენ ქვეყანაში მარქსისტების მიერ გაჩაღებული შინაგანი ბრძოლა სწარმოებდა, ძმა მისი სისხლსა ღვრიდა, ილიასა და ნ. ხიზანაშვილებსა უღეტავდნენ, ამ მზაკვრობის ორგანიზატორებად და მასში ჩათრეული დემოგოგით მოტყუებული ხალხის ბელად „გმირებად“ მენშევიკები იყვნენ.

ხოლო როს დადგა ჟამი ნამდვილი ეროვნული ბრძოლისა, როს მთელი ქართველობა ერთი ეროვნული იდეით შეერთდა, ერთ პირზედ დადგა; როს ასე გაერთიანებული ერი დაუპირდა თავის ისტორიულ მტერს—რუსეთს; ერთი სიტყვით, როს გაიმართა ეროვნული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის; როს დაჰქრა საქართველოს ბედის-წერის სათიმა, — მაშინ ამ ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელი ბელადი და ამბოხების სულის ჩამდგმელი სარდალი მენშევიკების რიგებიდან კი არ გამოვიდა, არამედ ქ. ჩოლაყაშვილი შეიქმნა.

ვინ იყო ქ. ჩოლაყაშვილი? — პოლიტიკურად უცნობი და ყოველგვარ პარტიათა გარეშე მყოფი.

ერთი მხრით მენშევიკები ძლიერი ორგანიზაციებით, კომიტეტებით, შედარებით დიდი მრევლით, დაგვილ პროპაგანდისტთა საკმარისი კადრით, ერთი სიტყვით მთელი პარტიული აპარატით და ევროპითგან მთავრობისა და მისი ეგრედ წოდებული „სერთო ცრონტის“ დახმარებით. და მეორე მხრით მარტო-ხელა, ახალგაზრდა ქ. ჩოლაყაშვილი, რომლის ზურგს უკან არც პარტიული დარაზმულობა, არც რაიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, არც ნივთიერი სახსარი!

ხოლო ხალხი პირველს კი არა, მეორეს გაჰყვა, ის მიიჩნია თავის ბელადად, ის აღიარა თავის გმირად; მას გაჰყვა და ისეთის გატაცებით, რომ ხალხზედ მენშევიკების ძლიერმა საჭურველმა, დემოგოგამაც კი „რეაქციონერი თავადის“ წინააღმდეგველად გასჭრა.

რამდენიმე მენშევიკი მართლაც ვაჟკაცურად მოკვდა, მეტადვე ხომერიკი და ჩიკვიშვილი. მაგრამ ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელად ვერც ერთი ვერ გამოვიდა მენშევიკების მრავალ რიცხვთან რიგებიდან: რატომ მოხდა ეს? რითი აიხსნება ეს მოვლენა?

მართალია, ქაქუტას უკან რაიმე ხილული, ხელშესახები ძალა არ მდგარა. ის გარეგნულად მარტო იყო. ხოლო ნამდვილად კი თვით მასში იყო თუმცა უხილავი, მაგრამ უძლიერესი, უაღრესი ძალა: ის შეიგავდა მთელ ჩვენ წირსულს, მთელ ჩვენ ისტორიას, ატარებდა ქართველი ხალხის ფსიქოლოგის,

ეროვნულ სულის-კვეთებას, რომელიც პოლიტიკოსთა შეგნებაზედ უფრო მაღლა იდგა, ვინაითგან შეძენილი კი არ იყო, არამედ დაბადებით დაყოლილი. ეს სულისკვეთება ორგანული თვისება იყო მისი. ქაქუტა იყო გაგრძელება და ერთ შევნიერ რგოლთაგანი საქართველოს ისტორიის ჯაჭვისა. კარგად შეგნდეთ, კარგად დააკვირდით ქაქუტას. მისი მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხი, ხმა, კილო, სიმღერა, სული, რომელიც მისი თვალებითგან გამოანათებს, ვაჟკაცური ხასიათი და თან ბავშური გულუბრყვილობა ... და მასში იცნობთ ჩვენ სახელოვან წინაპართა მთელ რიგსა: ის იგივე ბიძინა ჩოლაყაშვილია, ის ბიძინა, რომელმაც სამასი წლის წინედ სპარსელებს აჯანყება მოუწყო და მათ ჯარებს სისხლის ნაკადულები აღინა, სწორედ იმ ხანჯლით, ქაქუტა რომ ატარებდა ხოლმე; დიან, ბიძინა ქაქუტას არსში სულჩადგმული, გაცოცხლებული, ხორც-შესხმული. დააკვირდით ქაქუტას, მის მაღალ-სულოვნებას და მასში სხვა გმირებსაც აღმოაჩინეთ: იგი ის რაინდი ცოტნე და დინია, მეგობრებისათვის რომ თავი გასწირა; ერთი იმ თავდათაგანია, მეფე გიორგის სპარსეთს რომ ახლდა და ბენდერ-ყანდაარში ავღან-ბელუჯთა ლაშქრებს ზურგზედ ბოლს ადენდა და აფორიაქებდა, ვით შევარდენი ყვავ-ყორნის გუნდსა; იგი ხეცუ-რეთის ის მოურავი ჩოლაყაშვილია, რომლის ერთ დამახილზედ მთელი ზევსურეთი, არგუნითგან ვიდრე არაგვამდე, ხმალ-კაპარქს ისხამდა, ჩაჩქანში ჯდებოდა, მუშარადს იხურავდა და რომლის საგმირო საქმეთ ფშავის შავთვალა ლამაზები ფანდურზედ დამდგროდნენ. ქაქუტა აგრეთვე ის მეომარი გლეხია, რომელიც დღეს ყანწით ხელში უდარდელად კახურ მრავალ-ჟამიერს მღვროდა და ხვალ ხმალ-და-ხმალ მტრის რაზმებს მიარდევდა და სპარს-თურქთა მეომარნი ბურთივით გაჰქონდ-გამოჰქონდა.

დიან, ქაქუტაში მთელი წარსულია თავმოყრილი, მოკრეფილი და ქართული მკაცრობით გამოხატული. ეს კაცი რაღაც უცნაური სულიერ-ხორციელი სინთეტიური ქანდაკებაა ჩვენი წარსულისა და აწმყოსი, ქართული უკვდავი სულისა და დაუშრეტელი სიცოცხლის ძალისა, ქართული ჯიშისა; სრულყოფილი განხორციელებაა ქართველი ხალხის ფსიქოლოგიისა მთელი მისი სევდა-სიმხიარულისა და სიმხნევე-დაუდევრობისა. იგი ხალხის ღვიძლი შვილია, ქართულის ვითარებითგან წარმოშობილი.

აი ვინაა ქაქუტა ჩოლაყაშვილი და რა ძალა შესწევდა მას, როდესაც თავისუფლების დროშა ააფრიალა. მასში ხალხმა საკუთარი თავი დაინახა, საკუთარი სახე იცნო თავისი სულის ტკივილებით და მისწრაფებით და გაჰყვა კიდევ მას.

ხოლო ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ მენშევიკები? გაჰყეთ მათი პარტიის გენეალოგიურ შტოს და იდეოლოგიურად გაგვიმანებებულ ებრაელს მარქსს მიადგებით, ხოლო ზნობრივ-ფსიქოლოგიურად ორ რუსს: პლენანოვსა და ლენინს. ეს გახლავთ წყარო ნენშევიზმის წარმოშობისა. უცხოეთის და ისიც საქართველოს მტრის, რუსეთის ღვიძლი შვილია ეს პარტია; რუსეთის ბნელი ცხოვრების და კრიმინალური სულის წიაღითგანაა წარმოშობილი. ამნაირმა პარტიამ შესაძლებელია ჟამთა უკუღმართობით ისარგებლოს და დემოგოგის წყალობით ხალხი რაიმე დროებით მოძრაობაში ჩაითროს, გახვიოს. უბედურების მიერ დაბეჩავებული და უპატრონო ხალხის მოტყუება ძნელი საქმე არაა. თავის დროზედ ყოველ ხალხს მოსულია ასეთი ფათერაკი. გაბედნიერების დაპირებით ხშირად წაუტყუებია ხალხი ყველა ვიგინდარას და კრიმინალურსაც კი. განა ფლორენციელები რამდენიმე წლის განმავლობაში სავონაროლას არ გაჰყვნენ და მისი ბრძანებით არ განსდევნეს ალორმინების ხანის სულის ჩამდგმელი, მიკელ ანჯელოს, ბოტიჩელის, მაკიაველის და კიდევ რამდენი სხვა გენიოსის მფარველნი, ფლორენციის სიდიადის შემქმნელნი მელჩიჩები? განა თავის დროის „კომუნისტს“ მარიუსს არ გაჰყვნენ რომაელნი? განა



ვაჟასეზური

ერთი ხანობა მთელი ათინა არ გაიტაცა ალკიბიადეს დემაგოგია? და, შორს რომ არ წავიდეთ, ვანა დიდი ხნის განმავლობაში ფრანგის ხალხმა მარატისა და რობესპიერისებურ დამნაშავეთ არ მისცა ხმა და მათი ბრძანებით ამართული გილიოტინების გარშემო ფერხულს არ უვლიდა?

დიან, ერთი ხელობა გაპყვა ჩვენი ხალხი მენშევიკებს, ხმა მისცა, დეპუტატებად ამოირჩია, მიტინგებზედ ხელი აუწია, პროპაგანდისტები გოდრებზედ წამოასკუბა და ისმინა მათი ფლიდი სიტყვა. მაგრამ ნამდვილი ეროვნული გასასჯირის დროს პატრიოტულად თვალეზ-აზილულმა ხალხმა თავისი ბედი არ მიანდო ამ პარტიას; კრიტიკულ ისტორიულ მომენტში, როდესაც სამშობლოს თავისუფლების საკითხი წყდებოდა, მას არ გაპყვა.

არა, ამისთანა მომენტებში ხალხი თავის ბელადს და გმირს თავისივე წრითგან ამოირჩევს ხოლმე. ეს ბელადი ხალხის გულის და სულის შვილი უნდა იყოს, მისი ორგანიზირებული ნაწილი. და ქართველმა ხალხმა თავის უსაშინელეს განცდათა დროს ქაქუცა მონახა, მას ენდო, მას გაპყვა, როგორც გაპყვნენ იტალიელნი გარბილდის, ამერიკელნი ვოშინგტონს, სპარსელნი ხალხითგანვე გამოსულ ნადირ შაჰსა. ალაზნის ნაპირებთან ბზიბამდე ქართველობამ ქაქუცას სახელი დაიძახა და აღამალა. ეს სახელი ავიდა მთაში, მოედო ქისტეთს, ჩეჩნეთს და დელესტანს, ყაბარდოს, ყარაღალის და მალე „ჩოლაყაშვილი“ ს სახელი მთელი კავკასიისათვის ბრძოლის საყვირად გადაიქცა.

დრონი იცვალენ. საქართველოს ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. რუსეთის საშინელ მონობის ჯოჯოხეთში, რომელს საქართველო მენშევიკების წყალობით დაუბრუნდა, თუმცა ქართველი ხალხი მრავალ-მხრივ დაზარალდა, მაგრამ პატრიოტული შეგნების მხრით კი დიდად ვითარდება. იზრდება ახალი თაობა ეროვნული გრძნობით აღჭურვილი. ნახევრად გარუსებული ძველი თაობის საქმენი, მათი პარტიებით, წარსულის არქივსა ჰბარდებიან. საქართველოს ისტორიულ ფარჩაზედ, ისტორიული ოქრომკედლი თეთრი გიორგი ახალ პირობებთან შეგუებულს, ახალ ცხოვრებასა ჰქარავს. უკვე ნგრევის გზაზედ დამდგარი რუსეთი საბოლოოდ დაირღვევა. კვლავ ყოველივეს დასძლევს საქართველოს უკუდავის სული და ჩვენი ქვეყანა ამ განსაზღვრელითგან გამარჯვებული და თავისუფალი გამოვა. ხოლო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს შინაარსი სულ სხვანაირი იქნება: გარდაქმნილი, გადახალისებული, ეროვნულ მკვიდრ ნადაგზედ დამყარებული, ისტორიულ მტკიცე საძირკველზედ აგებული ახალი, ბრწყინვალე სასახლე.

ერი, რომელსაც სიცოცხლის ძალა შესწევს, დიდ განცდათა შემდეგ დიდ აღორძინებას ახწევს ხოლმე. არაბთა ბატონობის შემდეგ „ოქროს ხანა“ შეიქმნა; რუსთა ბატონობითგან განთავისუფლების შემდეგ „თეთრ-გიორგული ხანა“ შეიქმნება.

და მომავალი თ. ვაორგული საქართველო თავისუფლების მოედანზედ ალექსანდრე ბატონიშვილსა და მის საქმეთა სახელოვან მემკვიდრეს ქ. ჩოლაყაშვილს აღუმართავს შეგლებს და მათ სათაყვანებელ გვამებს, წინაპართ საფლავთა შორის, თავისუფალი სამშობლოს მიწას მიაბარებს.

ხოლო რუსეთის ბატონობის გაუქმებთან და მის გამბრუნელ ვავლინასთან ერთად წარიშლება და წარიხოცება კვალი მენშევიზმისა. ყველას გამკითხველი მომავალი კი მენშევიკებს დაახსიათებს იმ სიტყვებით, რომლით იგინი ილიას მოკლვის გამო მგოსანმა ევლოშვილმა დაახსიათა: „ ისტორიის სახეობა“.

ლელ კერესელიძე.

მიხეზები საქართველოს დაცემისა

თავი მესამე.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა *)

უკანახუნედ წერილში განვიხილეთ ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელმაც ბაგრატიონთა დინასტიას ავტორიტეტი მოუხვეჭა: ეს იყო ამა დინასტიის დამკვიდრების უფლებების დაცვა.

მაგრამ არსებობენ სხვა მიზეზებიც, რომელთა არა ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველთა მფობის პრესტიჟი და ავტორიტეტი. აი უმთავრესნი მათგანი: საქართველოს ხანგრძლივი მონღოლთაგან განთავისუფლება ბაგრატიონების მიერ; საქართველოს გაერთიანება და „ექვრის ხანის“ შექმნა ბაგრატიონების ხელმძღვანელობით და მათი სკიპტრის ქვეშ.

*) იხ. „თ. გ.“. N 40.

ამიშვიტ! ჯაჭვით ნუ მბამთ, გაშლას ნუ მიშლით ფრთებისა, ბარში რად გამოვადგებით არწივი, შვილი მთებისა? ფრენას ჩვეული ტყვეობამ ცოცხალი დამასამარა. ამიშვიტ! მალლა ცის-კიდეს დავერა ირაო, კამარა! ჩემს ბუდეს ყვავი პატრონობს, ყოვანი არე-მარესა, ამიშვიტ! ლეშის მკამელებს დღეს გავუთენებ მწარესა. ყვავს ბუდე ლაღი არწივის აბა თუ ოდეს ჰქონია? ან ბატონობა ყოვანის მთაში ვის გაუგონია? ვაი, რომ ჯაჭვით დაბმული ვიტან ტყვეობის ჰაპანსა, თორემ მოფენდი მათ ბუმბულს მინდორ-ველს, მთა და კაპანსა. ამიშვიტ! ჯაჭვით ნუ მბამთ, გაშლას ნუ მიშლით ფრთებისა, მონად ვერ გამოვადგებათ არწივი, მეფე მთებისა.

მ. დ-ნი.

გადავავლოთ მოკლედ თვალი ამ ეპიკურა ისტორიულ განვითარებას. ჯერ კიდევ სოფროიანთა დინასტიის დროს მკვეპვე საუკუნის ნახევარში, გაბტენებულმა სპარსეთმა საქართველოში მფობის უფლება მიღწო. შემდეგ ახლად გამუსულმანებულმა არაბებმა თვით სპარსეთიგ დაიპყრეს და საქართველოსაც დაეპატრონენ. ამ ახალმა ბატონებმა საქართველოს გვირგვინი არ ადადგინეს. მათ თბილისში ამირა დასვეს, რომელიც საქართველოს ერისთავების დანაშაურობითა მართავდა.

ეს მდგომარეობა მთელ ხაზ ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა და ჩვენს ქვეყანაში მფობის გვირგვინის აღდგენა მხოლოდ მეცხრე საუკუნის ბოლოს შესძლო — დაახლოებით 888 წელსა. ამ დროს ჯერ კიდევ მთელი საქართველო განთავისუფლებული არ იყო არაბთა ბატონობისაგან. საგლდოდ განთავისუფლება უფრო გვიან მოხდა.

უცხოელთა ამ ნაგრძობებმა ბატონობამ დროად შესგება საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ვითარება: გადაადგო იგი ეროვნული განვითარების ნორმალური ვითარება და მისცა მას ყ ლვი მიმართულება. ახეთია ყოველთვის და აუცილებლად უფრო ყოველი დამოუკიდებელი ერისა. მონღოლთა წიაღში ერის ცხოვრების ვითარება აღარაა მხოლოდ შედეგი თვით ერის ნიჭის, ენერჯის და თავისებურებისა. ერთი სიტყვით იგი აღარაა ნაყოფი იმის თავი უფლად შემოქმედებისა, არამედ მხოლოდ - და იმ ანტიგონიზმისა, შესლა-შემოხლისა, რომელიც განუწყვეტელი მუდმივდგოი სწარმოებს სოფლმე ერთი მხრით დამოუკიდებელი ერის ნების-ყოფის, მისი მისწრაფებისა და მფორე მხრით მტრის ნების ყოფის, მისი პოლიტიკის მფობის. რასაკვირველია ამ ხან ახდოი და ხან უარული გრძობის პნოდესში შექმნილი ერის ვითარება არა ნორმალურ, მაზინჯ ფორმებს იღებს, რაც ეროვნულ-სოფლს აუცილებლად ახნელებს. ესევე მოხდა ჩვენი ქვეყნის ამ შფრველ წარსულის მონღოლთა დროს: დაირღვა ნორმალური მსვლელობა ეროვნული ცხოვრებისა და წავიდა იგი უცხო და უკუდმართი ვსებით.

მტრის პოლიტიკური ზედგავლენით საქართველო დაიყო ბატარ ბატარა დამოუკიდებელ ნაწილებად — საერისთაფლად. გაძლიერდა ფეოდალობა მთელი თავისი გამთიშველი და გროვული მთლიანობის დამრღვევი ფფრმით; დაქვეითდა ეროვნული კულტურა და შესამჩნევად მიიღო უცხო საზე; ხალხი თან და თან უცხოელთა ბატონობას ეგუებოდა და ამით ჩვენი ქვეყანა გადავარების უფკრულისაგან მიეპანებოდა.

ამნაირი მდგომარეობის წინაშე დადგენ ბაგრატიონები იმ დღეითგანვე, ოდეს იწყეს ამაღლება, გაძლიერდენ თანდა თან და ბოლოჯამათი საქმე მფობის უფლებების განმტკიცებით დაავვირგინეს. მათ წინაშე გარდაიშალა უზარმაზარი და განუსაზღვრელად მწელი ამღანა: განდგენა მტრისა, საქართველოს შემოკლება-გაერთიანება, ფეოდალობის აღაგება, სახელმწიფოს მკვიდრ ნიადაგზედ დაყარება, გაღატაკებული ხალხის ნივთიერი წარმატება, ეროვნული კულტურის გამოცდენება და აყვავება, — ერთი სიტყვით საქართველოს ყოველ მწრევი აღორძინება. სოფლ ეს ნიშნავდა სავსებით ახალი ხანის, მთელი ახალი გზოქის შექმნას.

რასაკვირველია ახეთი გრანდიოზული შემოქმედება თვით დავით მფობთანა მლიერნი და გვნიოხი ადამიანის ძალასაც ეადმარტება. აქ საჭიროა მთელი ერის შემოქმედებითი უნარის ამომწარება, მთელი მისი პოტენციის გამოყენება. და ესევე არა ვმარა: ს აჭ ი რ ე ა გ ე ნ ი ა. „ექვრის ხანის“ გზური

აღორძინება მხოლოდ გენით აღჭურვილ ერის ქვეყნით. მართალია ქართველ ხალხს ჰქონდა იმ დროს შემწევი დიდი და დაუმრეტელი ხიდგნლის ძალა და გენია, და ამან შექმნა და გამძვავა ჩვენი ქვეყნის ის აღორძინების ცივილიზაცია და პოლიტიკური ძლიერება, რომელიც მოჰყვა არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას. მაგრამ რამდენად მლიერია ერის ენერჯია და შემოქმედებითი ნიჭი, იმდენად მეტად თხოვლად იგი ვენიოს მიმართველთ და გნერგით აღჭურვილ ორგანიზატორებს ეროვნული ცხოვრებისა. თავის თავად ეროვნული ენერჯია არა არს რა, თუ მას ხაჭირდ და მისან მწვინილი მიმართულება არ მიეცა, თუ იგი არ იქმნა ჩაყენებული განსზღვრულ სისტემაში და დიციბლინაში. გ. ი. ხალხის ენერჯია და გენია საჭიროებს ძლიერ და გენიოს ხელმძღვანელებს. დიდ ეროვნულ მიზანთა მი წევა ამ ეპიკურთა თანამშრომლობის კარგმე ყოველად წარმოუდგენელია. სწორედ ამ გენიოს ხელმძღვანელებად და დიდი ენერჯიით აღჭურვილ ორგანიზატორებად მოვევლინენ ქართველ ერს ბაგრატიონები.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ბაგრატიონები ხელისუფლების მოპოებისთანავე მეტად რთულ გარემოებათა და რთულ ეროვნულ პრბლემათა წინაშე დადგენ. მაგრამ, უდავოა, რომ ამ სირთულის სიმადლეზედ იმყოფებოდენ.

დადგენ საინტერესო მესწავლა მათი კულტურულ-პოლიტიკური შემოქმედების მიზან-შეწყინილებისა და თან-და-თანობისა. ნაკურ ნაკურ, თითქმის ადღობით, ყოველ დიდი ეროვნული ეგაფლით და ბრძობით ეროვნულ ტერიტორიას ხან საჭურვლითა ჰვლეგდენ ხელითგან გაგატარებულ მტერს, ხან პოლიტიკით ართმევენ და, ვით მვირფას მოზიკას, ურთი-ერთს აკონწებდენ. სარგებლობდენ ყოველი წუთით, ყოველი მარჯვე შემთხვევით და ნაწილ-ნაწილ იბრუნებდენ ერის მიერ დაკარგულ პოლიტიკურ უფლებებს. ამნაირად არაბების ბატონობის ტერიტორიალური და პოლიტიკური სფერო თანდა თან იხდებოდა და ჩვენი კულტურული ერთი მფორეზედა თავისუფლებოდენ. ჯერ აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო) აღდგა სახელმწიფოებრივად, მერე კახეთი და ბოლოდ ქართლიც მტრის ხელითგან ყოველ ახლად წავლდელ ტერიტორიაზედ ბაგრატიონები გაერთიანების პოლიტიკას განახორციელებდენ. ეს პოლიტიკა მეთოდურად და გამგედულად ბაგრატი მფობს დაიწყდა და დავითმა კი მისცა მას საბოლოოდ განხორციელება და ფფრმა.

თან და თან არაბების ბატონობა იხე შეიწდოდა, რომ თბილისით-და განისაზღვრებოდა, და ბოლოდ სატარტო ქალაქიგ დავით აღმაშენებელმა, 4 წლის ალყის შემდეგ, იერიშით აიღო და მით საქართველოში არაბთა ბატონობას საბოლოოდ ბოლო მოუღო. ეს მოხდა 1122 წელს.

რამდენიმე საუკუნის მონღოლთა და პოლიტიკური სიკვდილის შემდეგ საქართველო განთავისუფლებდა და სახელმწიფოებრივად აღდგა. ეს მოხდა ქართველ მფეფოა გრძნული პოლიტიკისა და მათი მფეფარ ხელმძღვანელობის წყალობით. ამ გარემოებაში რასაკვირველია საქართველოს მფობის ავტორიტეტი ჩვენი ხალხის მფენებაში და ფსიქოლოგიაში უმაღლესად ახწია და განამტკიცა.

არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლება უდიდესი ეროვნული საქმე იყო. მაგრამ თითქმის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებას, რათა ეს ეპიკური მის ძლიერებას და მომავალშიც დამოუკიდებლობის უსრუნველ-ყოფას მოასწავებდა.

გაერთიანების პოლიტიკაც ბაგრატიონებმა განიერგეს ნიადაგზედ განახორციელებდა და უფლებრივ საფუძველზედ დაამყარეს, რითაც გაერთიანებულ სახელმწიფოს საჭირო სიმტკიცე მიანიჭეს და მით თავისი იხედვად დიდი პრესტიჟი უფრე მადლა ახწიეს.

ჩვენი მფეფებს გაერთიანება მხოლოდ ძალით და საჭურვლითაც არა განხორციელებია, ეს ეპიკური მათ ქართველი ხალხის თვალში სრულიადაც არ დასგმდა, რათა მისხანი საუკლებას სავსებით ამართლებდა.

ხალხთა ცხოვრებაში ხშირადა სდება, რომ ეროვნულ ინტერესთა დამცველი, ეროვნულ მიზანთა განმანორციელებელი სამუალება მხოლოდ ძალა და საჭურველია და ერის ხელმძღვანელთა მოვალეობაა ამ სამუალებას მიმართენ სოფლმე.

რასაკვირველია გაერთიანებისათვის მოღვაწეობის დროს ბაგრატიონებს ძალის ხმარებაც დასჭირდათ. მაგრამ მათ მთავარ სამუალებას მაინც განიერგება მფადგენდა, ვინაით განთავისუფლებული გაერთიანება უმთავრესად ტარტის მფეფიერებითი წესით განხორციელებდა. გაერთიანებას მით უმეტეს მიეცა უფლებრივი სასიათი, რომ იგი იყო მფეფი არა მხოლოდ ჩვენ მფეფთა მისწრაფებასა, არამედ მთელი ხალხის საერთო სურვილებისაც. ამნაირად გაერთიანების პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი უფლებრივობამ აღასრულა.

გაერთიანების საქმეს სხვა მთავარიც შეეგადგენ, მაგრამ მისხანს ამერ კურთავალბის მთამომავლებმა მიასწიეს.

გაერთიანება, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, თან-და-თანობით მოხდა. ჯერ აფხაზეთის და ქართლის სამეფონი მფერთდენ. აი მოკლედ ამ ორი სამეფოს გაერთიანების ისტორია: მე-X ს. ბოლოდ და მე-XI ს. დასაწყისში ქართლში მფეფობა ვურგენ და აფხაზეთში შვილი მისი ბაგრატი. ბაგრატი იყო დიხწული აფხაზეთის მფობის დიმიტრისა (I), ვინაითგან აფხაზეთის მფეფს დიმიტრის და მას მისას თეფ-

1) ვურგენ მფეფს იოლადა ჰყავდა გვარანდუხტი — ქალი აფხაზეთის მფობის გიორგისა და დეიძლი დამ აფხაზეთისავე მფობის დიმიტრისა.



დღის (ცენტრის ხანი ამანაგ იმეფა) პირდაპირი შემკვიდრე არ გააჩნდათ, მათი კანონიერი შემკვიდრე დედით, ბაგრატი იყო (1). ამიტომაც, დიმიტრის სიკვდილის შემდეგ, აფხაზების ტახტს ბაგრატი დაემკვიდრა. როდესაც გურგენი ქართლში დაგვირგვინდა, მას «მეფეთ-მეფე» უწოდეს, რათა მას მშვილურმა განწყობილებამ ბაგრატის სამეფო გურგენის გავლენის ქვეშ მოაქცია. ამ წუთითანვე ჩაეყარა საფუძვლი აფხაზეთ-ქართლის გაერთიანებას. ხოლო როდესაც გურგენი მეფე 1008 წელს გარდაიცვალა და მის ტახტს მისი შემკვიდრე ბაგრატი დაეპატრონა, ამ დროს სახელმწიფოს გაერთიანება უკვე პოლიტიკურ რეალობად გადაიქცა და ბაგრატი გწოდდა: «მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა და ქართველთა» (2).

როგორც წყნარად ვსთქვით, ეს გაერთიანება ქართველი ხალხის საერთო სურვილითაც მოხდა. აფხაზების ტახტზედაც კი თვით ხალხმა მოუწიდა ბაგრატი და გურგენი მეფე, სიკვდილის შემდეგ ქართლის გურგენის ხალხმა შეათავაზა მას, ამავე ხალხმა და მისმა წარმომადგენლებმა სთხოვეს ბაგრატს ორ სამეფოთა ერთი გაერთიანების ქვეშ შეტანა. სულის ჩამდგმელი ამ გაერთიანების პოლიტიკის იყო ქართლის გონისთავი ივანე მარუშისძე, რომელიც ხალხს ინტერესების და სულისკვთების ნამდვილ გამომსახურებლად და წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ქართველმა ხალხმა, დიდებულებმა და სამღვდლოებამ მარუშისძის ხელმძღვანელობით მიმართეს ბაგრატს წყნარადინიშნული თხოვნით და რჩევით. აი, სხვათა შორის რას ვკითხულობთ ქართლის ცხოვრებაში: «მამინ ამანაგ ივანე მარუშისძემან იხება, რათა მოიყვანოს ბაგრატი მეფედ აფხაზეთისა, და მისთანა ყოველთა დედებულთა, ერის-თავთა და ახსნულთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატი მეფედ».

ამ დროს საქართველო სამ სახელმწიფოს წარმომადგენდა: აფხაზეთ-ქართლისა, კახეთისა და ტაღ-კლარჯეთისა. ეს უკანასკნელი მეტად ძლიერი იყო და მის მეფეს დავით კურაპალატს დიდი გავლენა ჰქონდა მთელ საქართველოში. არც აფხაზეთში და არც ქართლში ბაგრატის გამეფება დავით კურაპალატის სურვილის გარეშე არ მოხდა. მარუშისძემ დავითი განწინა ჩარის საქმეში. ეს მოხდა ბევრი მოსაზრებით, რომელთა შორის ბრძენ პოლიტიკოსს, მარუშისძეს, უმჯობესია ის მოსაზრებაც ექმნებოდა, რომ დავით კურაპალატის დახტული შეერთებულ სახელმწიფოს უფრო მეტი წინას მისცემდა.

დავითს, მეფეს ტაღ-კლარჯეთისა, მე არ გააჩნდა. ამიტომ მან ბაგრატი გამოწარდა და ბოლო კიდევაც იშვილა (3). ამანაგრად ბაგრატი III არა მხოლოდ აფხაზეთ-ქართლის მეფედ გახდა, არამედ, ამავე დროს, ტაღ-კლარჯეთის ტახტის შემკვიდრეც. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ «ქართლის ცხოვრება»: «მამინ ამან დიდმან დავით კურაპალატმან შემოკრიბა ყოველი ქართველი ახსნული და უბრძანა: ესე (ბაგრატი) არს მკვიდრი ტაღსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოღურავი მისი, და თანა შემეწე: ამახ დამეძრინილენით ყოველნი» (4).

ამ რეგად საქართველო სამ სახელმწიფოდ ერთი გაერთიანების ქვეშ შევიკრიბა და ეს სახეგითი უფლებებიც ნიადაგზედაც მოხდა. გარეშე დარჩა მხოლოდ-და კახეთი. რასაკვირველია საკითხი მეტად მარტივად დაისვა: კახეთის განმარტებულ არსებობა მიუღებელი გახდა; ეროვნული ინტერესი მოითხოვდა კახეთის საქართველოს საერთო ოჯახში დაეყუანებლიც შემოხლავს. ეს მოთხოვნა სახეგითი სამართლიანი და უფლებმრთვი იყო, ვინაიდან თავის იურდიული გამართლებას გრის ინტერესებში პოულობდა. ხოლო კახეთის განხედ გადგომა გროვრულ დალატს უდრიდა და, როგორც ასეთი, უმძიმესი დანაშაული იყო. ამიტომ, თუ კახეთი ურჩობას გაბედავდა, მასზედა ძალის ხმარება სახეგითი კანონიერი ხანქია იქმნებოდა.

ბაგრატ მეფის ბევრი ყოყმანი არ დაუწყო: მან კახთა მეფეს მოხსნა და დაუფარველიც დამდრინებდა და უარის მიღებისთანავე კახეთზედა გაილაშქრა. კახეთის მეფემ დავითმა წინააღმდეგობა ვერ გაუბედა და სამეფოთა გადაიხვეწა. ბაგრატმა კახეთიც თავის სამეფოებლის შეუერთა და გწოდდა მას: «მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა».

ტაღ-კლარჯეთის საბოლოო შესაერთებლად ბაგრატი III-ის დაბრკოლება თავისი მამიდაშვილების, კლარჯეთის ბატონთა, სუმბატის და გურგენის მხრით გეგმებოდა წინ. აქაც ბაგრატმა ძალას მიმართა და ამ ძალადობასაც გროვრული ინტერესი სრულ უფლებმრთვიანს ანიჭებს. ბაგრატმა შეიპყრო ივანი და „პატიმარ ყუჩა ცხსება შინა თმღვისასა და მუნ ცხსება შინა თმღვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი

1) იხ. Brosset, hist. de la Géorgie I. გვ. 292; «ქართ. ცხოვ.» გამოცემა ტიპონამისა გვ. 300-1-2-3.

2) ვახუშტის აწრით ბაგრატი ქართლში 980 წელს გამეფდა, ხოლო Brosset-ს ჰგონია, რომ ეს ფაქტი 985 მოხდა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი კი ბაგრატის გამეფებას ქართლში 1008 წელს ანგარიშობს. ამ უკანასკნელის აწრით უფრო საბუთიანად უნდა მივიჩნიოთ.

3) ბაგრატი იყო მისი მამობლის დავით კურაპალატის ბიძის შვილის შვილის შვილი. გ. ი. ბაგრატის მამის, გურგენ მეფის პაპა იყო ლეონი მძა დავით კურაპალატისა.

4) იხ. «ქართ. ცხოვ.» (ტიპონამე) გვ. 300; Brosset, hist. de la Géorgie I გვ. 294.

და აგრეთვე მახვე წელსა შინა გურგენიცა გარდაიცვალა, მძა სუმბატისა».

ამანაგრად ჩვენმა მეფეებმა საქართველო არა მხოლოდ მტერთა ბატონობითა გაანთავისუფლეს, არამედ გააერთიანეს, ერთ ძლიერ სახელმწიფოდ შექვედრეს.

რასაკვირველია ბაგრატი III-ის მიერ გაერთიანებული სამეფო მკვიდრ კალაპოტში ადვილად არ ჩამდგარა და უგრძობლად ველოდ არ განმტკიცებულა. მისი საბოლოო განმტკიცებისათვის ბაგრატი III-ის შთამომავლებს კიდევ ბევრი გრძობა დასჭირდათ თვითნებობა მ ჩვეული და მტრის პოლიტიკის მიერ ხელშეწყობით თავგასული ფეოდალების წინააღმდეგ. მწვავე შინაგანი ბრძოლები მეტადვე ბაგრატი IV-ის გადახდა. მაგრამ გურგენ მეფის ძემ, ბაგრატი III-ემ პირველი გაერთიანებით უკვე შექმნა ძლიერი ტრადიცია მთლიანი საქართველოსა, უკვე სახეგითი შეიტანა ქართველი ხალხის შეგნებაში, რომ გაერთიანება არის ეროვნული უფლების უაღრესი გამომყვანება და განკერძოება კი დალართი და დანაშაულებია, იორსი ყოველგვარი სასჯელისა. ამ გარემოებას სახელგანი მეფის ბაგრატი III-ის შემდეგ სხვა მეფეებს გაერთიანების საქმე დიდად გაუადვილა.

დავით აღმაშენებელმა დაასრულა მის წინაპართა მიერ დაწყებული საქმე: მოხპო ურრუგა, განკერძოების სულისკვეთება აღმოღვრდა, შეერთებული სახელმწიფო მკვიდრ ნიადაგზედა დაამყარა და მისცა მას შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაცია.

„ქართლს ხანის“ განხილვას შემდეგ წერილში შევუდგებით. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ბრწყინვალე ხანის დასაწყისად ის დღე უნდა ჩავთვალოთ, იდეს დავით აღმაშენებელი ძველამოხილი ქართველი ლაშქრით შევიდა განთავისუფლებულ ვანსანუ ვიღვასლანის ქალაქში და 570 წლის წინად მტერთა მიერ მოკლული ქართველი დროშა თბილისის ციხეზედა შედ-ახლად ააღრიალა.

(გაგრძელება იქმნება)

ლევ კერესელიძე

ძარცვნილი სპარსეთში .

საქართველოს წარსულის რამდენიმე საინტერესო პიროვნება.

მეფე გიორგი XI. ქ ა ი ხ ი ს რ ო ა ნ უ ხ ლ ს რ ო მეფე .

(გაგრძელება)

ქირმანში ლევან ბატონიშვილს დიდ ხანს არ დასცადა სვიმი და ნადირიან, რომელთაც მას ქირმანელები და მათი ხანები გაუმახპინდნენ. ჩამოხლვის შეთქმულ მტრებს ვეცნობა მიიღო: ბელუჯისტანის შირ-ხლერ-შაჰს დიდი ჯარით გადმოეღობა სახლვარი, ბენდერის მხარეს შემოხლვდა, დაეპობა და შუა სპარსეთისაკენ მოიწვიდა. ვენდერი სპარსეთის ყურგს ნაპირზედა ძეგს და ქირმანითგან პირდაპირი ხაზით 400 კილომეტრის მანძილზე, ხოლო გზით 500-550 კილომეტრით უნდა ვიანგარიშოთ.

ლევანს მეტად მცირე რაზმი ჰყავდა. ერთი მხრით ამ ბატონს რაზმით გალაშქრება ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენდა, და მეორე მხრით ახალი ჯარის თავის მოყრას ან ისპაჰანითგან გამოწერას შედარებით დიდი დრო დასჭირდებოდა, რითაც მტერი უსათუოდ ისარგებლებოდა და შუაგულ სპარსეთში შემოეჭრებოდა. ლევან ბატონიშვილს გაკვირვების დროს ტუქუნა ყოყმანი არ უყვარდა და გადაწყვიტოდა მის მიღება მალე იცოდა ხოლოც, რაც ნიჭიერი ხარდლის დამახასიათებელი თვისებაა. ამიტომ იგი ამ რთულ მდგომარეობას საკონტაქტოში დიდხანს არ ჩაუდგო: მტრის შემოხლვის ამბავი დილით მიიღო და ჯერ მზე შუბის ტარზედა არ იქმნებოდა დასული, რომ უკვე მისი პატარა, მაგრამ მკვდარი რაზმი ბუჯის და საყვირის ხმაზედა ქირმანის გარეგითგან გადიოდა და მოხლვებულები ხალხი ლევან-გურთხევით აცილებდა მას. „ამ ამბის მიღებისთანავე ბუჯ-ნადარამ დაჰჭრა და ჩვენ, მცირე რიცხვანი მეომრებით, ცხენებს მოვახრეთ“, მოგვითხრობს ხენნია ჩხვიძე. ეს მოხდა 1699 წლის მიწურულში.

ლევანმა თავისი რაზმით უკვე შეთქმულ მტრს დღეს მტრის პიროვნების წინ დასცა კარავები. კელუჯთა ჯარი მტრეულ კლდეან ადგილებში გამაგრებულიყო და მოწინააღმდეგეს ხანგარ სადრებში გლოდა.

მირ-ხლერ-შაჰის ბენდერში მყოფი პირველი ჯარი, რომელთან ლევანს პირველი ბრძოლა მოუხდა, ამ უკანასკნელის რაზმს რიცხვით სუთქერა სჭარბოვდა და ტეპოვრანოვლი უპირატესობაც მას ჰქონდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მოლქენით ვიყავით, ამბობს ხენნია, როგორც ქორწილი. ეს კია, ცენტრ არ იყო, ჩვენი სიმცირე და მტრის სიმრავლე გვაფიქრებდა“.

უკვე კარგად შედამეული იყო, როდესაც ლევანის რაზმი მტრს დაუპირდაპირდა. ქართველ-სპარსელნი იხე მიუასლოდდნენ მტრს, რომ მათი მოწინავე დაბრკობა მტრისას ელაპარაკებოდნენ. მტერთან შეხვედრის ამ პირველი დამის

* იხ. თ. გ. N 40.

ამავს იხე ცენტრად გადმოვგვიხსნენ ხანგარის სიხნია, რომ მკითხველს თავი ამ წარსულ ბრძოლაში და მის შემდეგ მასთან ერთად ჰგონია და მის განცდათ განიცდის. ამიტომ მინდა ერთი წუთით სიტყვა იხე ხენნიას დავუთმო: „დავინახარა მტრმა, არა-რად მივიჩინია, ყურთი კი არ შეიბერტყა, ჯერ ჩვენი სიმცირის გამო და იმითაც, რომ ბელუჯნი მეტად წათამამებულნი იყვნენ სპარსელებთან ბრძოლებში, რათგან ადვილად ამარცხებდნენ მათ. მათმა გუშაგმა გადმოხსნა ჩვენსას: „უბედურ საათზედა დაბადებულნი ვანნი! ვინ მოვარტყათ? არ იცით, რომ მაჰმად ალი-ხანი (1) საჩქერ დავამარცხეთ და რაც ავლა-დიდება გააჩნდა სულ ერთიანად წავართვი? რომ მისი ჯარი სულ შევმუსრეთ? სვალ დილით თქვენც ამავე დღეს დაფაერთ დავით (ინშაჰლა)“. ჩვენმა გუშაგმა ლანდვა გინებით უპასუხა და ესეც უთხრა: „ღვთის რისხვა მოველისთ! აქ საქართველს ბატონიშვილი ლევანი ბრძანდება თავისი ვანის-მაჰმად ქართველი ლაშქრით“! ამ ბმბავს გელუჯნი არ მოვლოდენ, არ იცოდენ, რომ მათ წინაშე, სპარსელებთან ერთად, ქართველები იმყოფებოდნენ და დიდმა შიმში შეიპყრო ივანი. თუმცა ვანისა კი არა, ქათმის შეკმაც არ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენმა გუშაგმა ეს ამბავი მაინც მარჯვედ მოიგონა და ჩვენ ყველამ ბევრი ვიციანეთ“ (2).

აქა იმ დამეს, გრძობის მოლოდინში, ძილი ვის მოუვიდოდა. სპარსელები ცალკე ცალკე და ლავაშებს შეეჭვიდნენ. ქართველები კი ტიკებს მოუხსდნენ, კახური და შირაზული ღვინო რომ სულ თან დაჰქონდათ, და, ყანწებით ხელში, მტრის ელვის გამკვირი მამა-პაპური ბრძობის სიმღერები შემოხმანეს.

უნდაურთა წმირად გედი ადამიანისა და შეტადრე ქართველისა. სწორედ ქართველთა ამ ბედის უნდაურებამ ათქმევინა შოთას: „ვა სიღვლე, რაშიგან ხარ, რას გავარუნგე, რა წინ გვირხა, ხად წაიყვან სადაურსა, ხად აღუფხვნი საით ძირსა“! მართლაც, ხად გადარტყრნა ბედს ეს ქართველი მოემრევი! საქართველოთგან სპარსეთის ყურეზედა! ან ვის თვით და რისთვის უნდა დაეგვარათ სვალ მათ თავისი სისხლი ამ შორეულ და უცხო მიწაზე? ვისთვის და ხად უნდა ჩაეყარათ თავისი ძვლები? ალბათ ყოველ მათგანს გზადებოდა ეს ნაღვლიანი ფიქრი. მაგრამ გულს მაინც არ იტყვდნენ. მწარე ხედვით და შავი ბედი ვერ გახტუნდა და ვერ გახტუნდა იმ ხალხს, რომელმაც მესხთსა კახურთ მრავალ-ქაშიგონი! განა ამავე მრავალქაშიგონთა არა მღვრდენ ეს შევუღვარი მებრძოლნი: „ამილახვარო, ლახვარო, გაუტყნარი ქვა ხარო“? ეს ამილახვრები, ციციშვილები, გრისთავები, ორგელიანები, ბებურიშვილები, ბარათაშვილები, ავალიშვილები, სააკაძეები, ანდრეიკაშვილები და სხვანი ამერგთში, და დადიანები, გურიელები, წულუკიძეები, წერეთლები, შარვაშიძეები, აბაშიძეები, ერისთავები, მაჭუტაძეები და სხვანი იმერეთში, იყვნენ ქართველ მებრძოლთა «გაუტყნარი ქვა» და რკინა ხარდალ-ბელები, რომელთ თავისი გმირული სულით და ფელადის გულით ქართველთა შთამომავლობათ სიმამის ხანგით მოუხსნეს და ბრძობის ტრადიცია უანდერძეს. ველის სიმეფრეში და სიმამეში არც მათი მშვენი, გლახობა ჩამორჩებოდა ამ «გაუტყნარ ქვათა». დიდი იხ სახი-ქადულ სიგმიტ, რომელიც ჩვენ გლახობას გამოუჩინია სამომბლელ თავისუფლებისათვის და ქართული ნამუხისათვის, თითო საქართველოთ თუ შორეულ ქვეყნებში.

ორაურთა. დაჰჭრა ნადარამ და ლევანის ლაშქარი წამიღალა, საბრძოლველად გამოუწყო. „დაჰჭრა გუშაგა და ჩვენც ჩვენს გედაურებს მოვახრეთ“, მოგვითხრობს ხენნია. კიდევ რამდენიმე წუთიც და უნდა მოხდეს უნდაური საქმე: ლევან ბატონიშვილი, ხადლაც სპარსეთის ყურესთან, ერთი მუჭო რაზმით უნდა ეკვებოდა სუთქერ უმრავლეს და ძლიერ პოლიტიკურ გამაგრებულ მტრს. იჭეკებს თოდე, დატრიალდება ბრძობის კორიანტელი და ქართველი მებრძოლნი ან უნდა სულ გაწყდნენ, ან მტერი უნდა შემუსრდნენ. სხვა გამოსავალი არ არის! მიუხედავად მართლაც რომ დრამატულია. შეუდრეკელ ქართველ მხედართ ცხენების დავა აუჯრდოათ და წარგან შეკრულნი ბრძობის ბრძანებას ელოან. შიმში არ გვარება მათ მტრეც და ბრძობის ველებზედა გამოკაყულ გულს, რათგან ივანი, რომ ამ ბედის წერის დღეს თავის საკუთარ ბედს თავისივე ხმლით დასწერენ! და რაც უნდა მოხდეს, დამარცხება თუ გამარჯვება, მათი სისხლით დაგვიტოლო „ქართლის ცხოვრების“ ეს ახალი ფურცელი შთამომავლებს სამარადისო სახანგლად დარჩება. ამანაგრად, ხადლაც შორეულ სპარსეთის ყურეზედა, ქართველ მამაც მხედართა სისხლით იწერებოდა ჩვენი ისტორიის ერთი შვენიერი ეპიზოდთაგანი.

ბატონიშვილი მღვრმანდება!—გისმა ხმა და ლევანი თავის თვით არაუფლზედა რაზმის წინ ისაროვით გამოვარდა! „მედვრად მშველო, მტრის სიმრავლემ ტუქუნა არ მოგვცით! დღეს ვაჩვენებთ მტრს ქართველის ხმლის ძალას! ყიხილ-გამეგრედა (სპარსელებზედა) თვალთ გვიტოლეთ და ვინც დაიხილს, იჭვე მოჰკალით“! დასძახა ლევან ბატონიშვილმა და თან დამღერა შემდეგი ლექსი: „ღვთის განგება თუ არ არის, ვგრას მიხმენ მტერთა ხანნი“!

ხენნიაც უბადლო ბედაურზედა წის და ბატონს ვგვრდითგან არა მდრდებო. ბაგრატიონების დიდი ერთგული ყმა იყო ხენნია ჩხვიძე და მეტადვე ლევან ბატონიშვილი უყვარ

1) სპარსელთა ცნობილი ხარდალი იყო.
2) იხ. Brosset, Hist. de la Géorgie II, გვ. 47.



და, რეპრესიები იგი თავის სახსრებში საკუთარი შვილივით გამოწარდა, ახარება-ბრძოლებში გასწრებდა და განათლება მიიღო. ლევანმა, მართალია, ხელსაწი-არგვლიანი(1) მიუჩინა აღსაზრდელად თავის ყრმა შვილს, ვანტანგ ბატონიშვილს (შემდეგ ვანტანგ VI), მაგრამ ჩვენი სახელმწიფო-ეკონომიკური-ფილოსოფიის თავისი ცოდნის მქონე ვანტანგის უფროსი ძმის ხელის და ხელის ჩვენიც უხვად ჰქონდა.

სენია ხელისხელთან მამასავით იყო შესრდილი და თვით ხელისხელთან მამასავით თავისი მამა: „ხელს იგი, ჩემს სენიას, მამა ჩემი რა თავგანწირული და მუშაობის კაცია და, თუ მამა ხარ, ბრძოლებში თვალს გეჭირავს მასზედა“.

„ჰა მამათა“ მუშაობის ლევანმა და სენიამ გაჰქუესლა. ქართველებმა პირველი გადამარცხეს და მტერს ეკვეთენ.

გაიძარცვა სახტივი ბრძოლა. მისი ხაზგებით აღწერა მტერს წაგვიყვანს და ამიტომ აქ მხელდა რამდენიმე ეპიზოდს მთავრად.

სენია შეგვიძინა ლევან ბატონიშვილს, თვითონ ნუ იხებებ ხელ-ხართულ ბრძოლაში შემტანგებასად, მაგრამ ლევანმა დიდილით უპასუხა, გაჰყვო ხელი ფარის ყურში და მტრის მუხა ვულ რაზმში შეიჭრა. მტრის ერთმა მხედარმა ლევანს პირდაპირ თეფი დაასალა; ლევანმა ფარი აიფარა, ხელს ტყვიამ ფარს გაიტანა და ბატონიშვილის გვერდზე მყოფი მტერის ცხენი მოჰკლა. სამი ბელეჯი ერთ სვეტში ჩასაფრებულნი იყვნენ და ამ მოხერხებულ ადგილს ლევანს და სენიას თეფს ესრედა, მაგრამ ვნების პოტანა ვერ მოასწრო. ერთი ქართველი თავადი, ჯადარ ბეგი (2), თავისი მეფემარი ვლესი მხლებლთ, ცხენ-და-ცხენ მიუხრტა მათ. თავადმა და მისმა ვლესმა ორს თავები გააფრებინეს ხმლებითა, ხელს მესამე გაქცა.

სენიას ჩვენი შეგარდა თუ არა ხმალ და ხმალ ბრძოლაში, სამი მტერი განგებდა შუბით. შუა დღე გადახული იყო უკვე, რამ ლევანს ოთხი რჩეული მეფემარი ეკვთა, მაგრამ ლევანმა ერთ თვალის დასაზრებამდე მტერს შეეპირა. მტერი და მისი მხედრები დასაზრებამდე მტერს შეეპირა. მტერი და მისი მხედრები დასაზრებამდე მტერს შეეპირა. მტერი და მისი მხედრები დასაზრებამდე მტერს შეეპირა.

ლევანს სრული გამარჯვება დარჩა. ათი თვემეტი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი უკუ იქცა. ქართველებს აუარებელი დავლა დარჩათ, 1500 კაცს თავი გააფრებინეს და მრავალი ტყვე წაიყვანეს.

ლევანმა ერთ წუთსაც არ შეისვენა და მისივე ხელის-შაჰისავე გაქცა. ეს უკანასკნელი მანიუაზით თავისი პირველი ჯარის დასაზრებამდე მოემუშავედა. ხელს შეიტყუა რა ხელის-შაჰმა თავისი გენდერის ჯარის დამარცხება, წინ წაწევა ვეღარ გაბედა და მანიუაზის ხეობაში გაჩერდა. მაგრამ ლევანმა არც აქ მოასვენა.

სამხედრო სელაგების მხრით რომ განვიხილოთ, გენდერ-მანიუაზის ბრძოლებში მოქმედება ლევანს პირველ ხარისხიანი ხარდების რიგში აყენებს. მართლაც, ჩვენ სახელმწიფო ბატონიშვილს წვედმეფეობითა აქვს განსწორებული პული ორი დიდი პრინციპი ტაქტიკისა: სისწრაფე მოქმედებისა და გამარჯვების ხაზგებითი გამაყენება.

ლევან ბატონიშვილი მიუახლოვდა თუ არა ხელის-შაჰის ჯარებს, სენიას რჩეულ მხედართა ცხენისანი რაზმი მიიხდა და უკრძანა მტრის შეტევა. აქვს გარეშეა, თუმცა საკუთვეთი არა ხანა, რამ ლევანი ჩვენიც იმპერატორის მხელად დევრის მხრით აკეთებდა და მტერს მხრითგან თვით ხერდა მტერს იერიშის მიტანა. მაგრამ მიხვდა რა

ადგილდგომის სენია, რომ მტერი სახელმწიფოებში იყო ჩაკარდნილი, პირის-პირი და გადამწყვეტი ბრძოლა მისცა. ხელის-შაჰმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია სენიას და უკუ იქცა. სენიამ მტერს მრავალი ტყვე აართვა, მისი მთელი ავლა დიდება ხელს იგდო, ნაღარა-ხანგ (1) კი წაართვა და ას კაცს თავი გააფრებინა.

დამარცხებულმა ხელის-შაჰმა საზღვარი უკანვე გადალანა და თავის ქვეყანას შეგებდა.

ამაინად ქართველმა ბატონიშვილმა ზარსეთი მტრისაგან განწმინდა და მთელი ბრძოლის მძახსელებს თავის-უფლებს და შეგება მიანიჭა.

სენიას ჩვენიც ლევანმა დიდი წყალობა უკეთა და, ხსენათა შორის, ყველაფერი ფარის მდიდარი ტანისაგან.

შაჰ-ჰუსეინს და გიორგი მეფეს მასწავლებლად შემდეგ აღნიშნული მეფემარი ჯადარ-ბეგი ააზღეს.

მთავარად თუ არა ლევან ბატონიშვილმა გენდერის საქმეები, პირი ქირმანისავე ჰქმნა.

ლევანს თავისი რაზმით ერთი დღის მანძილი და უკლდა ქირმანამდე, რაც 11 თვეგრავს 1700 წელს წინ შაჰის მიკრიკები შეგებენ, რომელთა ლევანს შაჰის მადლობის წერილი და მდიდარი საჩუქრები მოართვეს, რომელთა შორის ერთი მკრთაბის ხალათი, ოქროთი და მკრთაბის თვლებით მკრთადილი ხმალი, ოქროთი შეკრული ბეადური, დიდი თანა ფულად და ხსენა მრავალი ფეშქეშები.

გამარჯვებულ ლევანს და მისს რაზმს ქირმანის მხრებ-რეზნი ქალაქის გარებთან შეგებენ ლეგა-კურთხევისა და მადლობის დარბაზი. მდიდარი ხანები თუ უბრალო მოქალაქენი მკრთაბს ხალათს და საკუთარ ტანისამოსს თავის მხრელ ქართველ ლაშქარს ფრთხილ უგებდნენ. და ქართველი მხედრები, ჩვენებულ მეფემარი ხიმდერთა, სპარსელთა ხანების ტანისამოსს თავის ცხენების ნალ-ქვეშა სოფლებადგინეს დასტურ, გასაფარი სურათი, უცნაური ამბავი ტრადიკულ-რემანტიკული ქართველის ბედისა.

(გარემდება იქმნება)

ლ. კ.

ქართული ეკლესია პარიზში.

ამა წლის 24 მაისს ქალაქ პარიზში, ბერძნულ მართლმადიდებელ ტაძარში, მათმა მალა ყოვლად-უსამღებლოესობამ გერმანოზმა, მიტროპოლიტმა თეატონისა, მსოფლიო პატრიარქატის ეგზარქოსმა დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისათვის, აკურთხა მღვდლად მამა გრიგოლ ფერაძე. 31 მაისს კი ქართველ გადმომცემილ პარიზში ელირსათ ქართულს ენაზედ წირვის მოსმენა. ათი წლის განმავლობაში უცხოთა ეკლესიებში სიარულით გულდაწყვეტილ ქართველობას ეს დიდი დღესასწაულად მოველინა და კიდევაც დიდის სიხარულით შეხვდა მას. ყველას სიხარული ეტყობოდა და ურთი-ერთს ულოცავდნენ. დიანაც სასიხარულო მოვლენა სამშობლო დაკარგულ ქართველისათვის მშობლიურს ტყბილსა და საამურს ენაზედ წირვა-ლოცვა; ბევრს მწარე მოგონებებს აღუძრავს ხოლმე, მაგრამ გულს მაინც ახარებს და ერთგვარს სასიხარულოს ჰგვრის მსმენელს. საამური სასმენელი იყო ქართულად მგალობელი გუნდი ახალგაზრდათა ბ. ალექსანდრე ნაკიძის ლიტურგიით. მიუხედავად ქარხნებში მძიმე მუშაობისა ამ გუნდის წევრნი ახალგაზრდები თავისუფალ დროს ახმარებენ გალობის შესწავლას და მით დიდს სამსახურს უწევენ ეკლესიასა და მრევლს და იმედი გვაქვს, რომ მომავალში ასე გულმოდგინედ ემსახურებიან ამ ეროვნულს საქმეს. პარიზის ეკლესია მის დამარსებელთა ზრუნვით სრულიად ასცდა რუსული ეკლესიის გავლენას და არავითარი კავშირი მასთან არა აქვს. ეს ეკლესია დღეს შედის თეატონის საეგზარქოსოში და ემორჩილება მსოფლიო პატრიარქს. შემდეგ საქართველოს აღდგენისა კი მას სრული უფლება აქვს შევიდეს საქართველოს კათალიკოსის გამგებლობაში და უბრუნდება საქართველოს ეკლესიას. ეს დიდ მიხვედრად უნდა იქმნეს მიღებული, რათგანაც რუსები აქაც, როგორც ყოველგან და ყოველთვის, სტლიობდნენ ჩაკვლათ მათგან დამოუკიდებლობა ქართული ეკლესიისა და ბევრგვარ ხრიკებს მიმართეს მაგრამ ცოტათი, სულ ორი თვით დაავინდათ და დღეს საეკლესიო დარგში აქ მაინც გადურჩით საქართველოს ეკლესიის გამარტველსა და გამქურდველს რუსის ბატონობას. აღსანიშნავია რომ არც ოფიციალურ წრეებს და არც ქართველთა ასოციაციას საფრანგეთში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში და არცა რა დახმარება, არც ქონებრივი და არც ხეობრივი გაუწევია. მხოლოდ თ. ილამაზ დადემქელიანის დი-

დმა მონდომებამ, შრომამ და თაოსნობამ მოუწია ქართული ეკლესია მისი უფლებით. მას დიდი დახმარება გაუწია ბნმა ი. კემულარიამ.

თვით მამა გრიგოლ (ფერაძე) ფრიად განათლებული კაცია: თეოლოგიის კანდიდატი, ფილოსოფიის დოქტორი და ბონის უნივერსიტეტის დოცენტი, აგრეთვე კემბრიჯის უნივერსიტეტში არის მიწვეული ლექტორად; ღრმა მცოდნეა ქართული საეკლესიო მწერლობისა და ღვთის-მეტყველებისა, ქართული სინამდვილისა და ისტორიისა, მხნე და ენერგიული პიროვნება. შეწვევი სიტყვით მიმართა მან პირველი წირვის დღეს დამსწრე საზოგადოებას. ის სიტყვა არ იყო სიტყვა მოძღვრისა მხოლოდ, არამედ იმავ დროს ღრმა პატრიოტისა, ღრმა მოწმუნე ადამიანისა, უმაღლესი სწავლის პრინციპების ჩამოგონებლისა, მოვალეობას შეგნების მქადაგებელი სამშობლოსა და სარწმუნოების წინაშე. ილაპარაკა შეწვევი მსუბუქი ქართული ენით, რომელშიაც მსოფლიო კილო უფრო სჭარბობდა, ვიდრე მველი საღმრთო წერილისა. ეს ჩვენს დროში ათასი ქირვარამით, ყოველ-დღიური აუტანელი ჯავით დამაშვრალ ადამიანისათვის უფრო ადვილია გასაგებდაც და სმენადაც, ვიდრე მეტად ღრმა ციტატები საღმრთო წერილისა.

განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვა მამა გრიგოლმა მრევლისაგან ეკლესიის სიღარიბისადმი და მართლაც ამ ჩვენ ახალ ეკლესიას ჰერ-ჯერობით არა გააჩნია-რა. შემოსავალიც კი არა აქვს. ყოველ ქართველს, რომელსაც მაცხოვრის ხატის მაგივრად მარქის სურათი არა აქვს სასთუნალთან დასვენებულო, ევალება, რითაც-კი შეუძლია, დაეხმაროს ამ ეროვნულ საქმეს. არის რასაკვირველია იმედი, რომ ჩვენს საკუთარი ტაძარიც გვექმნება და ვინ იცის იქნებ ამის ირგვლივ შეიქმნეს ეროვნული კულტურის კერა, როგორც ხშირად ხდებოდა საქართველოს ცხოვრებაში. უცხოეთში გადახვეწილთა ხშირად დიდი ეროვნული საქმე მოუწყვიათ ხოლმე, დიდი ღვაწლი დაუღვიათ ქართულ მწიგნობრობისა და ერთობ კულტურისათვის. ყოველი ქართველი, სადაც არ უნდა იყოს იგი, ვალდებულია მიაწვინოს თავისი წვლილი და შესაწირავი, თუნდაც სულ მცირე, ამ დიდ საქმეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ასეც მოხდება და ბოლოს და ბოლოს არავის დასაციხარი აღარ ვიქმნებით.

მეგობარი.

ქართული წარმოდგენა პარიზში.

პარიზში ბ. შალვა ნებიერიძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო „პატარა კახი“ აკაკი წერეთლისა. მოლოდინს გადააჭარბა ამ წარმოდგენამ. ყოველი მოქმედი პირი კარგად ასრულებდა თავის როლს და საზოგადოება, რომლის ყურს ავერ ათი წელიწადია არ სმენია სცენითგან ქართული, მეტად ნასიამოვნები დარჩა. ეტყობა ახალგაზრდებს დიდი მონდომება, რათგან არა თუ სცენის მოყვარეთაგან, არამედ პროფესიონალურ არტისტთაგანაც ასეთი თამაში საკმარისი იყო. გვესმის, თითქოს ბ. ნებიერიძე აპირებდეს მუდმივი დასის დაარსებას, რაც ფრიად სასურველი და სასიამოვნო იქმნება. თუ კერძო პირთა თაოსნობით და მონდომებით არა, სხვა გზით არა ვაკეთებულა რა და არც ვაკეთდება ქართულ კოლონიაში, გარდა პანაშვიდებისა და 26 მაისის დღესასწაულის წლიური საღამოებისა, რომელიც „ფოქსტროტი“ იწყება და თავდება. ჩვენ ნებას მივსცემთ ჩვენ თავს, ვუჩიოთ ბ. ნებიერიძეს, რომ უპირატესობა ისტორიულსა და პატრიოტულს პიესებს მიანიჭოს, რათგანაც ახალგაზრდობას არა ჰქონია საშუალება ბოლშევიკების ხელში ენახათ ასეთი პიესები საქართველოში და ისინიც, ვინც აქ უცხოეთში წამოიზარდნენ, მოკლებულნი იყვნენ რისამე მსგავსის ნახვას. თეატრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ამით სრულიად გამართლებული იქმნება. ვუსურვებთ წარმატებას ამ სასარგებლო და საჭირო საქმეს.

თ.—გიორგელი.

ბელგიაში გამართულ 5-მ იენის ავტომობილების შეჯიბრებაში (24 საათი გაუჩერებლად) პირველი დიდი ჯილდო მიიღო ქართველმა დიმიტრი ჯორჯაძემ.

no. METTHEZ FRERES. MONTBELIARD-HERIMONCOURT

L' Gérant : Félix KALDENBACH.

1) ხელსაწი-არგვლიანი დაიბადა 1658 წ. ხელსაწი იყო შვილი ქართლის მთავრის ყაფლან ორბელიანისა. ხელსაწი ყაფლანი იყო ვანტანგ V-ის, შაჰ-ნავაზის პირველი ცოლის ძმა, ე.ი. ვიძა არილ მეფისა, გიორგი XI-ისა და ლევან ბატონიშვილისა (ვანტანგ VI-ის მამა). ვანტანგ VI დაიბადა 15 ხექტემბერს 1675 წ. და რეფეხად იგი 8 წლისა იყო, მას მამამ (ლევანმა) აღმზრდელად მიუჩინა ხელსაწი, რომელიც მაშინ 24 წლის იყო, მაგრამ უკვე მეცნიერი და ცნობილი მწერალი. მას თავისი იგავ-არაგვები ამ დროს უკვე შედგენილი ჰქონდა. ვანტანგ VI-ემ თავისი „სამართლის წიგნი“ დასწერა, შეავრცლა, შეასწორა და გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ და 1709 წ. თბილისში დააბრუნა ქართული სტამბა ხელსაწის დახმარებით. 1713-14 წლებში ხელსაწი ვანტანგის მიერ წარგზავნილი იყო დეხანად საფრანგეთის მეფის ლეოპოლდ XIV-ის გარსედა, სადაც მან დიდი ხანები და პატივი დაიმსახურა. საფრანგეთში ხელსაწი 1716 წლამდე დარჩა, შემსწავლა ფრანგული ენა და ფრანგულ-ქართული ლექსიკონი შეადგინა. მანვე სთარგმნა სპარსულიდან ინდოელ-სპარსული ცნობილი თხუთხუთხუთა „ქილია და დამანა“. ხელსაწი ხარ დაივალა რუსეთში 1725 წ., ს. ლ. ვანტანგ VI 1735 წ. ქალაქ ასტრახანში.

ხელსაწი დიდი სწავლით-განგებობით გაველნა იქონია ვანტანგის უფროსი ძმა ხელსაწის და მასთან შესრდილ და მის მგებარ სენია ჩვენიც უხვად. საფიქრებელია, რამ სენიას წერის უნარი და სურვილი სწორედ ხელსაწისა მთავრებდა.

2) ამისი ქრისტიანული სახელი არა ხანს, მაგრამ თვრმე იყო შვილი ქართველი ვგირისა.

1) შემუხიკეთა კარავი.